ПРОЛЕТАРЕБО ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 დეკემბერი პარასკევი 1973 წელი 2 ქაღ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 284 (15701)

პარტიული კონფერენციები

ბირველად პარტიულ ორგანიზაციებში უკვე დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები, კომუნისტთა დიდი საუბარი კი ამ თემაზე ჯერ კიდევ გრძელდება. იწყება რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები. ხვალ გაიმართება ჩობატაურის, ვანის, მესტიისა და ონჩამჩირის რაიონული პარტიული კონფერენციები. ათასობით დელეგატი — პირველადი პარტორგანიზაციის წარგზავნილი — თავის შეფასებას მისცემს პარტიული კომიტეტის საქმიანობას განვლილ საანგარიშო პერიოდში, დასახავს მომავალი მოღვაწეობის მოფიქრებულ ღონისძიებებს.

რაიონული, საქალაქო და საოლქო პარტიული კონფერენციები ყოველთვის დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა კომუნისტთა ცხოვრებაში. მაგრამ მათი როლი ამჟამად განსაკუთრებულია, ისინი პირველად ეწყობა ჩვენი პარტიის ისტორიული XXIV ყრილობის შემდეგ. ამიტომ, ბუნებრივია, ახლანდელ პარტიულ კონფერენციებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ანალიზი გაუკეთონ სწორედ ყრილობისშემდგომ პერიოდში გაწეულ მთელ საქმიანობას, იმ პრაქტიკულ შედეგებს, რაც მოპოვებულია მეცხრე ხუთწლედის სამ წელიწადში, განსაკუთრებით ამ მესამე, გადამწყვეტ წელს, რომლის ფინიშსაც ეს-ეს არის მივუახლოვდით.

გასული საანგარიშო პერიოდი იმითაც არის აღსანიშნავი, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს დროულად მიეცათ მოქმედებისათვის ისეთი საჭირო და საპროგრამო სახელმძღვანელო, როგორიც არის პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზაციული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ“. ამ დიდმნიშვნელოვან პარტიულ დოკუმენტში მოცემულია იმ ისეთიოზელ ნაკლოვანებათა და დამახასიათებათა საფუძვლიანი და კონკრეტული კრიტიკა, რომელიც ახასიათებდა არა მარტო თბილისის საქალაქო, არამედ მთელი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობას.

სწორედ ამიტომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით, ბატონ ალ. ალენუშმა, რომელმაც განიხილა საკითხი — „ანგარიშგება-არჩევნები რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებში და კომუნისტთა აქტივობის შემდგომი ამაღლების, პარტორგანიზაციათა ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების ამოცანები“, ხაზგასმით აღნიშნა: საანგარიშო-საარჩევნო პარტიული კრებები და პარტიული კონფერენციები უნდა წარმოადგენდნენ რესპუბლიკურ პარტიულ დასკვნებს, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ.

კონფერენციებზე პრინციპული და მკაცრი შეფასება უნდა მიეცეს იმ არასწორ და მავნე პოზიციას, რაც ბევრმა ხელმძღვანელმა პარტიულმა მუშაკმა დაიკავა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების მიმართ, ბევრ რაიონულ, საქალაქო და საოლქო კომიტეტში ეს სერიოზული გაფრთხილება ყურად არ იღეს და არც სათანადო დასკვნები გამოიტანეს. ამიტომ, როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა უკანასკნელ ერთ წელიწადში არაერთ პარტიულ დოკუმენტში მეტად პრინციპული და ობიექტური შეფასება მისცა რესპუბლიკაში შექმნილ ვითარებას,- გაბედულად დაგმო სუბიექტივიზმი და ვოლუნტარიზმი, მკაცრად მოკვეთა იმ ხელმძღვანელებს, რომელთაც დაკარგეს პასუხისმგებლობისა და მომთხოვნლობის გრძნობა როგორც სხვებისადმი, ისე საკუთარი თავისადმი, შეიჭიავნენ უკონტროლობას, სიყალბეზეც კი და ისე თვითდინებაზე მიუშვეს საქმე, რომ ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და პარტიული დისციპლინის უხეშ დარღვევებს, სოციალისტური წესრიგისა და კანონიერების დამახინჯების ალმაშფოთებელ ფაქტებს.

მართალია მწარეა, მაგრამ ფაქტია, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში საფრთხე შეექმნა სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგების შემდგომ განვითარებას, ზოგი ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს მუშაობაში ეკმკვიდრდა მიწერების, თვალსახვევის, მოჩვენებითობის პრაქტიკა. ხელმძღვანელის მუნდირში გამოწყობილი მუშაკთა ერთი ნაწილი გაყოყოჩდა, ზევიდან დაუწყო ყურება ყველას და ყველაფერს. ისინი ფეხქვეშ თელავდნენ ჩვენი ცხოვრების ნორმებსა და კანონებს, იქცეოდნენ როგორც მოსურვებოდათ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სპეციალური დადგენილებანი მიიღო პარტიის იმ საქალაქო, რაიონული და საოლქო კომიტეტების მუშაობის შესახებ, რომლებსაც, განსაკუთრებით დიდი შეცდომები და დამახინჯებანი ჰქონდათ.

ყოველად მიუტევებელი დარღვევებს, მანკიერი სტილით მუშაობის სამწუხარო ფაქტებს ვხედებოდით გარდაბნის, ჩოხატაურის, აბაშის, ორჯონიკიძის (სასოფლო), თბილისის ორჯონიკიძის სახელობის, მესტიის, აჭარის ასსრ ხულოს რაიონებში (პარტიის რაიკომების ყოფილი პირველი მდივნები ა. ბეჭაური, რ. კვინტრაძე, ნ. ჩაგუნავა, შ. ჯოგლიძე, ბ. დემეტრაძე, მ. გვიჩიანი, მ. ბერიძე), ქალაქ ჭიათურაში (პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. აბესაძე), სამხრეთ ოსეთში პარტიის საოლქო კომიტეტის ყოფილი პირველი მდივანი გ. ჯუსოევი) და სხვაგან.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სერიოზული ნაკლოვანებანი გამოაშკარავა, აგრეთვე პარტიის ხარკოვის, ხაშურის, ზესტაფონის, გორის, ხელნაძის, მახარაძის და სხვა რაიკომების მუშაობაში.

კონფერენციებმა ყოველივე ამას გვერდი კი არ უნდა აუარონ, არამედ სათანადო პარტიული შეფასება მისცენ, სადაც განსაჭონ—რატომ ხდებოდა, რომ იყო გამოწვეული ყოველივე ეს და დახახონ ისეთი გზები, შეიმუშაონ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აიცილებენ მომავალში მსგავს მოვლენებს, ბოლომდე აღმოფხვრიან ურთიერთმაამებლობას, გულგრილობასა და უკონტროლობას, დაამყარებენ სრულ წესრიგს ყველგან და ყველაფერში, ცხადია, პირველ რიგში პარტიულ ცხოვრებაში.

ხაამისოდ კი მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გულდასმით შეჯამდეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელ ხანს გამართული პლენუმების, რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრებების გადაწყვეტილებათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ერთობლივ დადგენილებათა შესრულებისათვის ბრძოლის კონკრეტული შედეგები.

რა თქმა უნდა, ეს შედეგები, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა, მეცხრე ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის დღემდე გაწეული ბრძოლის შედეგები ბევრი პარტიული ორგანიზაციის, კომუნისტების, შრომითი კოლექტივების ნაყოფიერ საქმიანობაზე მიუთითებენ, მაგრამ მთავარია არ გაგვიტაცოს ზოგიერთმა წარმატებამ, თავბრუ არ დაგვახვიოს მან და მთელი გულისყური, ფიქრები მივაპყროთ, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლიდა, ჯერ კიდევ გადაუჭრელ პრობლემებს. და ასეთი პრობლემები ცოტა როდია.

აი ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წელი მთავრდება და ზოგი შრომითი კოლექტივი კვლავ ერთ ადგილს ტკეპნის. მართალია, უკანასკნელ ხანს სულ უფრო მცირდება ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც სახელმწიფო გეგმებს ვერ ასრულებენ, მაგრამ მაინც ხომ არიან ჩამორჩენილნიც?! ამოცანა ის არის, ყველგან, ყველა რგოლში, თვითეულ ფაბრიკასა თუ ქარხანაში, მშენებლობაზე თუ სატრანსპორტო ორგანიზაციაში, სახელმწიფო დაწესებულებასა თუ სამეცნიერო ლაბორატორიაში მივაღწიოთ რეტმულსა და რენტაბელურ მუშაობას, ღრმად დავეუფლოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მეცნიერულად გაძღოლის შეთოდებს.

პარტიული კომიტეტების საანგარიშო მოხსენებებში, კონფერენციაზე გაჩაღებულ კამათში სათანადო ახასა უნდა ჰქონოს მეცხრე ხუთწლედის გასული წლების გეგმებისა და ნაკლისრი სოციალისტური ვალდებულებების შესრულების, აგრეთვე 1974 წლისათვის შემუშავებული შემხვედრი გეგმების საქმიანმა და შინაარსიანმა ანალიზმა.

ყველა პარტიულ კონფერენციაზე, ბუნებრივია, საქმიანი საუბარი უნდა გაიმართოს იმ თაოსნობის შესახებ, რაც თბილისის ელმავალსაშენებლო და საავიაციო ქარხნების კოლექტივებმა, აგრეთვე ხუცუბნელმა და ტყვიაველმა მშრომელებმა გამოიჩინეს სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის, ხახელმწიფო და შრომითი დისციპლინის დაცვისა და განმტკიცებისათვის. დელეგატებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ პარტიული ორგანიზაციების, თვითეული კომუნისტის როლს კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში, მოურიდებლად ამხილონ ამ მხრივ არსებული ნაკლოვანებები, მკაცრად გააკრიტიკონ კონკრეტული დამნაშავე პირები.

მაგრამ რაზეც არ უნდა გაიმართოს მსჯელობა, იქნება ეს სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო, დისციპლინის განმტკიცებისა თუ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობის პრობლემები, იგი მჟღეროდ უნდა იყოს გადაჯაჭვული და დაკავშირებული პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის საკითხებთან. ყოველმა კონფერენციამ პასუხი უნდა გასცეს კითხვას — შეეხსაბამება თუ არა მათი მუშაობის სტილი და შეთოდები თანამედროვე მოთხოვნებს, რა მუშაობას ეწევიან პარტიის რიგების სიმკვიდრისა და ხაწმინდისათვის, რა დადებითი გამოცდილება დაგროვდა, ან რა არსებითი ნაკლოვანებებია კადრების შერჩევასა და განაწილებაში, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმებაში, პარტიული კრებების მომზადება-ჩატარებაში, პოლიტიკური და ეკონომიური განათლების ორგანიზაციაში, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობაში.

ამასთან ერთად, გულდასმით უნდა შეჯამდეს და განზოგადდეს ის გამოცდილება, რომელიც შეძენილ იქნა პარტიული დოკუმენტების გამოცვლისათვის. კიდევ უფრო სრულად გამოვიენოთ ეს დიდმნიშვნელოვანი ორგანიზაციულ-პოლიტიკური ღონისძიება პარტიულ ორგანიზაციათა მოღვაწეობის გასაუმჯობესებლად, კომუნისტთა ინიციატივისა და აქტივობის ასამაღლებლად.

პარტიული ცხოვრების გამოცდილება და პრაქტიკა ახლაც გვაფრთხილებს, თუ როგორ დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული კონფერენციებისათვის დროულ და სათანადო სამზადისს. როგორც ზშირად ვამბობთ ხოლმე, ამ საქმეში არაფერი არ არის წვრილმანი. ყველაფერი მნიშვნელოვანია, ყველა სამუშაო ისე უნდა მოეწყოს, რომ პარტიული კონფერენციები წარმართოს ორგანიზებულად, მაღალ იდეურ და პოლიტიკურ დონეზე, ამას კი მაშინ მივაღწევთ, თუ მთელ სამზადისში აქტიურად ჩაებმებიან პარტიული კომიტეტების წევრები, წევრობის კანდიდატები, ამ კომიტეტების აპარატის მუშაკები.

მეტად სერიოზული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ მხრივ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლებს. ცენტრალური კომიტეტის მეთერთმეტე პლენუმმა ხაზი გაუსვა რა ამ პასუხისმგებლობას, მათ აგრეთვე დააკისრა კონფერენციის მონაწილეებს მოუთხრონ იმ მუშაობაზე, რასაც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ეწევა მომდინარე ეტაპზე.

ჩვენს არჩევით ორგანოებში უნდა იყვნენ მხოლოდ ღირსეულნი, უკეთესზე უკეთესნი, ჭეშმარიტად ხაქმიანნი, პატიოსანი, ინიციატივიანი და ენერგიული კომუნისტები.

არა პარადელის ხმაური და ხიტყვების კორიანტელი, არამედ შინაარსიანი, რაც შეიძლება კონკრეტული ხჯა-ბაასი ჩვენი ცხოვრების მომწიფებულ პრობლემებზე! ფართო გზა კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ობიექტურობასა და პრინციპულობას!

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲜᲘ

ᲓᲘᲓᲘ ᲯᲘᲚᲓᲝ ᲓᲐᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲡ

მთავართბილმშენის № 14 ტრესტის მშენებლებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს — ვადაზე ადრე გაანაღდეს წლიური გეგმა. სურათზე: მშენებელთა ერთი ჯგუფი, რომლებიც მშენებლობის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით და მიენიჭათ რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინრისა და მშენებლის საპატიო წოდება. მარცხნიდან — ამიერკავკასიის „სოიუზლიფტის“ სამონტაჟო სამმართველოს უფროსი ვ. კუკულაძე, № 14 სამშენებლო ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი ა. იმედაძე, ტრესტის მთავარი ინჟინერი ვ. ცინცაძე, № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ა. სილაბაძე, № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ტ. ცინცაძე, № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ე. ტიმჩენკო, № 7 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი თ. იაგვარაშვილი, № 7 სამშენებლო სამმართველოს უფროსი ნ. ხარაბაძე, რკინაბეტონის ნაკეთობათა № 1 კომბინატის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი ბ. რუხაძე და № 8 სამშენებლო სამმართველოს მოწინავე დურგალი ი. მურუსიძე.

ს. კილაძის ფოტო.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲓᲜᲔᲡ

საქონსერვტრესტის (მმართველი ო. საბაშვილი) საწარმოები კარგად მოემზადნენ სეზონისათვის, ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის გეგმისა და ნაკისრი ვალდებულების შესრულებისათვის. მეკონსერვეებმა პროდუქციის რეალიზაციის 11 თვის გეგმა 105.2 პროცენტით გაანაღდეს. მომხმარებელს 59 მილიონ 195 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნეს. გეგმა კი 56 მილიონ 283 ათას მანეთს ითვალისწინებდა. ამ პერიოდში გეგმით უნდა გამოეშვათ 200 მილიონ 88 ათასი პირობითი ქილა კონსერვი, ფაქტიურად აწარმოეს 201 მილიონ 259 ათასი ქილა კონსერვი.

დაწინაურდა გორის საკონსერვო ქარხანა, რომელმაც წლიური გეგმით გათვალისწინებული 36.5 მილიონი პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად გამოუშვა 37 მილიონ 575 ათასი ქილა. ასევე წლიური გეგმა ვადამდე შესრულა სამტრედიის საკონსერვო ქარხნის კოლექტივმა, რომელმაც გეგმის გადამეტებით უკვე გამოუშვა 728 ათასი პირობითი ქილა კონსერვი. დროს უსწრებს ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანა. აქ წლიური გეგმა უკვე გაანაღდეს.

ᲡᲘᲪᲮᲣᲚᲘᲡ ᲮᲐᲚᲮᲘ

ბოლნისის რაიონის მშრომელებმა წელს კარგად იმუშავეს კარტოფილის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. აქაურებს უნდა მოეყვანათ და სახელმწიფოსათვის მიეყიდათ 4.870 ტონა კარტოფილი. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობებით სახელმწიფოს უკვე მიჰყიდეს 7.547 ტონა კარტოფილი, რაც წლიური გეგმის 155 პროცენტს შეადგენს.

სახელმწიფოსათვის კარტოფილის მიყიდვის გეგმა ადრეებებით შეასრულეს გარდაბნის, მცხეთის, მარნეულის, დუშეთის რაიონებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

ᲑᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲔᲥᲡᲞᲚᲝᲐᲢᲐᲪᲘᲝᲓ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲘᲡ ᲬᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ „ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲑᲘᲚᲘᲡᲛᲨᲔᲜᲘᲡ“ № 14 ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრომ „მთავართბილისმშენის“ № 14 ტრესტის (მმართველი გ. ვ. კვეიძე, მთავარი ინჟინერი ვ. კ. ცინცაძე, პარტკომის მდივანი ა. ე. იმედაძე) მშენებლებმა და მეშონტაჟეებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, ხელმძღვანელობამ და პარტიულმა კომიტეტმა მიმდინარე წლის ათ თვეში დიდი მუშაობა გაწიეს ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის წლიური გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

წლის განმავლობაში დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით ტრესტს უნდა დაემთავრებინა 247 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის 69 საცხოვრებელი სახლის მშენებლობა და საექსპლოატაციოდ გადაცემა, საბინაო მშენებლობისათვის აეთვისებინა 30 მილიონ მანეთზე მეტი.

წარმოების კარგი ორგანიზაციის, ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, შინაგანი რეზერვების მობილიზაციის, ტრესტისა და სამონტაჟო ორგანიზაციების მთელი კოლექტივის შეთანხმებული მუშაობის შედეგად 2 ნოემბრამდე საექსპლოატაციოდ გადაეცა 248,4 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, საბინაო მშენებლობისათვის აითვისებული ა 26,8 მილიონ მანეთი, ანუ ათი თვის დავალებას 104 პროცენტი. 38 საცხოვრებელი სახლი კარგი შეფასებითაა ჩაბარებული.

ტრესტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა წლის დამლევამდე დამატებით, წლიური პროგრამის გადაჭარბებით საექსპლოატაციოდ გადასცეს 16 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა და მოიწონა № 14 ტრესტის ინიციატივა, რომ მთლიანად ტრესტში საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დაინერგოს ნაკადური მეთოდი და მკეთრად გაუმჯობესდეს სამშენებლო სამუშაოთა ხარისხი. (საინფორმაციო).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

„მთავართბილმშენის“ № 14 ᲢᲠᲔᲡᲢᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტი დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1973 წლის 29 ნოემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდეს:

1. ვილჰელმ კონსტანტინეს-ძე ბალდავა — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს სამეურნეო ანგარიშიანი ბრიგადის ბრიგადირი.
2. გიორგი შალვას-ძე დარბაიაშვილი — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის ძლიერი მექანიზაციის სამმართველოს ბულდოზერისტი.
3. ანზორ ერმილეს-ძე იმედაძე — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის პარტიული კომიტეტის მდივანი.
4. გივი ვლადიმერის-ძე კვეიძე — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მმართველი.
5. ანატოლი მიხეილის-ძე სმირნოვი — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს ზეინკალთა ბრიგადირი.
6. მიხეილ ვიქტორის-ძე უნგიაძე — ტრესტ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომონტაჟორთა ბრიგადირი.
7. ნოდარ შალვას-ძე ხარაბაძე — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს უფროსი.
8. გახტანგ კალისტრატეს-ძე ცინცაძე — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მთავარი ინჟინერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი 1973 წლის 29 ნოემბერი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲬᲝᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მშენებლობის დარგში ხანგრძლივი მუშაობისა და საბინაო მშენებლობის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ საპატიო წოდება:

საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინრისა:

1. გიორგი სიმონის-ძე ბერაძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის მთავარ დისპეტჩერს.
2. ვლადიმერ ფარნაოზის-ძე კუჭულავას — ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს უფროსს.
3. ალექსანდრე ვასილის-ძე როგოვსკოის — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს საშუალოთა მწარმოებელს.
4. ალთანდილ პავლეს-ძე ხალაგაძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
5. ნოდარ ერეკლეს-ძე ხიხარულიძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს ყოფილ უფროსს.
6. ტარიელ გიორგის-ძე ცინცაძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.

საქართველოს სსრ დამსახურებული მშენებლისა:

1. ვალერიან გიორგის-ძე ასათიანს — ტრესტ „საქმეფერმონტაჟის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს ელექტრომამწყობთა ბრიგადირს.
2. გიორგი კონოს-ძე მარქარიანს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 1 სამშენებლო სამმართველოს ხეროს.
3. გიორგი ივანეს-ძე მახარაძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის საწარმოო კომბინატის მებეტონეთა ბრიგადირს.
4. გივი სერგეის-ძე მდივანშვილი — „ტრესტ „სოიუზლიფტმონტაჟის“ ამიერკავკასიის სამონტაჟო სამმართველოს ამწყობ ზეინკალთა ბრიგადირს.
5. იაფეტ სიმონის-ძე მურუსიძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 8 სამშენებლო სამმართველოს ხეროს.
6. გრიგოლ ერასტის-ძე რუხაძეს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 1 რკინაბეტონის ნაკეთობათა კომბინატის მეებეტონეს.
7. ანტონ ოსიფის-ძე ხოლაშვილს — ტრესტ „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ თბილისის სამონტაჟო სამმართველოს გაზშემდუღებელს.
8. ედისონ სერგოს-ძე ტიმჩენკოს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 10 სამშენებლო სამმართველოს უფროსს.
9. მანუილ სანტრესის-ძე ფაუნდეხს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 9 სამშენებლო სამმართველოს კალატოზს.
10. სერგო ნიკოლოზის-ძე ჭალაბაშვილს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 3 სამშენებლო სამმართველოს მეპარკეტეს.
11. თენგიზ ისტატეს-ძე შალიბაშვილს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 6 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.
12. თენგიზ გიორგის-ძე იანვარაშვილს — „მთავართბილმშენის“ № 14 ტრესტის № 7 სამშენებლო სამმართველოს კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაჭაძე

თბილისი 1973 წლის 29 ნოემბერი.

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲩᲕᲔᲣᲚᲘ ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲠᲘᲡ, საქალაქო ომისა და დიდი სამამულო ომის მგრძელ, საბჭოთა კავშირის მარშალის ს. მ. ბუდიონნის ხსოვნის უკვდავყოფის მიზნით რუსეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით სტავროპოლის ტერის ქალაქ პრიკუმსკს და პრიკუმსკის რაიონს სახელი გამოეცვალა და ეწოდა ქალაქი ბუდიონოვსკი და ბუდიონოვსკის რაიონი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით საბჭოთა კავშირის მარშალის ს. მ. ბუდიონის სახელი მიენიჭა კავშირგაბმულობის ლენინის ორდენოსან წითელდროშოვან სამხედრო აკადემიას, მოსკოვის სამხედრო ოლქის შტაბის შენობას, რომლის კარებსაც ომის წინა წლებში სარდლობდა ს. მ. ბუდიონი, გაუკეთდება მემორიალური დაფა. ს. მ. ბუდიონის სახელი მიენიჭება ქალაქ მოსკოვის ერთ-ერთ ქუჩას. მთელი რიგი უმაღლესი სამხედრო სასწავლებლების მსმენელებისა და კურსანტებისათვის დაწესებულია ს. მ. ბუდიონის სახელობის სტიპენდიები.

ᲛᲘᲣᲬᲠᲘᲜᲐᲕᲡ „ᲙᲝᲡᲛᲝᲡ-614“

1973 წლის 4 დეკემბერს საბჭოთა კავშირში გაუშვებ დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-614“.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

ᲛᲘᲣᲬᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲔᲠᲕᲘᲜᲔᲚᲘ დღესასწაულის — ფინეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დღის გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ურჰო კექონენს მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნეს.

ლ. ი. ბრეჟნევის დეპეშაში ნათქვამია: დიდი კმაყოფილებით აღვნიშნავ ფინეთის ხალხისათვის ამ დირსშესანიშნავ დღეს — საბჭოთა კავშირ-ფინეთის ურთიერთობის კეთილსასურველ განვითარებას 1948 წლის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების მტკიცე საფუძველზე. ყველა საფუძველი გვაქვს მოველოდეთ, რომ ჩვენი ქვეყნების ხალხები კვლავაც განამტკიცებენ მეგობრობას, ნდობასა და ურთიერთგაგებას, რითაც აქტიურად შეუწყობენ ხელს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშრობის უზრუნველყოფის საქმეს.

ჩვენს ქვეყნებს შორის, ნათქვამია, ნ. ვ. პოდგორნის დეპეშაში, დამყარდა ფართო

მხოლოდ „კარგი“ და „ფრიადი“ შეფასებით

ცნობილი ფაქტია, რომ გასულ წლებში თბილისის მოიჯარე სამშენებლო ორგანიზაციები საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ ჩაბარების გეგმებს ვერ ასრულებდნენ. საკმარისია თქვას, რომ განვლილი შვიდი წლის მანძილზე მშენებლებმა თბილისს დაახლეს 819 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, სადაც შესახლდებოდა სულ ცოტა 16 ათასი ოჯახი. ამის შედეგი ისიც, რომ 1974 წელს საექსპლოატაციოდ ჩასაბარებელი ფართობიდან 40 ათასზე მეტი კვადრატული მეტრი უკვე განაწილებულია. ცხადია, შემცირდა განსაწყობელი ფართობის რაოდენობა. ამის გამო საქალაქო საბჭოს აღმასკომს არ შეუძლია საქალაქო მეურნეობისათვის შეასრულოს რაიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება — საასკოლო შენობების აგება, სატრანსპორტო მაგისტრალების შექმნა, რაიონული თბოცენტრალის მშენებლობა და სხვ.

ამიტომაც არის, რომ რესპუბლიკისა და ქალაქის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ამოცანად დასახეს მიმდინარე წელს და მომდევნო წლებშიც უთუოდ შესრულდეს საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმები.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში და საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტში სისტემატური მსჯელობის საგანია საბინაო მშენებლობა, სადაც ოპერატიულად წყდება საბინაო მშენებლობასთან დაკავშირებული ყველა პრობლემა.

შექმნილ ვითარებას სწორი შეფასება მისცეს მთავართბილმშენების მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა, აგრეთვე „სოიუზლიფტმონტაჟის“ სამმართველოს, ამერიკა-კავკასიის ტრანსმშენის ტრესტის „საქპეტროენერგომშენის“ ტრესტის კოლექტივებმა და სხვა სამშენებლო ორგანიზაციებმა. ამ კოლექტივების თავდადებული და დაძაბული შრომის შედეგად ქალაქში პირველად ხანგრძლივი წლების მანძილზე, მიმდინარე **წლის** 10 თვეში გადაჭარბებით შესრულდა საქალაქო საბჭოს აღმასკომის ხაზით საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა. საექსპლოატაციოდ უკვე გადაეცა 347 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი და 10 თვეში წლიური გეგმა 83 პროცენტის ნაცვლად 87 პროცენტით არის შესრულებული.

ქალაქში საბინაო ფონდის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება ძირითადად განაპირობა მთავართბილმშენის № 14 სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის (მმართველი გ. ყავეძე, პარტიული კომიტეტის მდივანი ა. იმედაძე) სამშენებლო ორგანიზაციების გამართულმა მუშაობამ.

რით აიხსნება ის ფაქტი, რომ ამ ტრესტმა, რომელსაც ქალაქის აღმასკომის ხაზით ყველაზე დიდი გეგმა აქვს, შესძლო მისი არა მარტო საცხოვრებელი ფართობის საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულება, არამედ გადაჭარბებით გაანაღდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების საერთო მოცულობის გეგმაც?

წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ის არის, რომ ტრესტის ხელმძღვანელობა არასოდეს არ ცდილობს წარმოშობილი სიძნელეები და დროებითი ჩამორჩენა ახსნას ობიექტური მიზეზებით და დაიწყოს უსაფუძვლო თავის მართლება. ტრესტის მთელი კოლექტივი მობილიზებულია დავალების შესასრულებლად. აქ მუშაობაში ფართოდ დანერგეს შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მშენებლობის მოწინავე მეთოდები, განამტკიცეს დისციპლინა, სამშენებლო მოედნებზე მასალებს აწვდიან გრაფიკის მიხედვით. აი ის ძირითადი ფაქტორები, რომელთა შედეგადაც ტრესტმა მიაღწია ასეთ მაღალ მაჩვენებელს.

ამიტომაც იყო, რომ მეთოთხმეტე სამშენებლო ტრესტის საქმიანობა განიზოგადების მიზნით ამ დღეებში განხილულ იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიერ.

საჭიროა „მთავართბილმშენის“ №№ 10, 15 და განსაკუთრებით № 18 ტრესტების ხელმძღვანელებმა მიბაძონ ამ ტრესტის ეკრ მაგალითს, ფართოდ დანერგონ მისი მუშაობის გამოცდილება, აამაღლონ თვითეული მშენებლის პირადი პასუხისმგებლობა მინობილი საქმისათვის, უნარიანად შეუხამონ ერთმანეთს მატერიალური და მორალური სტიმულები.

№ 14 ტრესტის კოლექტივს უნდა ვუსურვოთ, რომ უფრო სრულყოფილი გახდეს მშენებლობის ორგანიზაცია, მთლიანად აღიკვეთოს მუშაობაში იერიშობანა, მკვეთრად გაუმჯობესოს მშენებლობის ხარისხი და სახლები ჩაბარეს მხოლოდ „ფრიადი“ და „კარგი“ შეფასებით.

კ. მეგრელიშვილი,

მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე.

ᲩᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲓᲔᲡ

სამართლებრივი ცოდნა მკსებს!

საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პლენუმი, რომელშიც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა **ა. ნ. თოიდე** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის მახარაძის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **ე. ხ. მალაზონია.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა **ზ. ა. პატარეიმ.** (საქინფორმი).

საქართველოს კპ ჯავის რაიკომის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პლენუმი, რომელშიც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა **ლ. პ. სანაკოევი** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ჯავის რაიკომის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად არჩეულია **გ. ე. ქოქოევი.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ფ. ხ. სანაკოევმა.**

(საქინფორმი).

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

ხიზნადი, 4 დეკემბერი. (საქინფორმი). კულტურის რაიონულ სახლში მოეწყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია თემაზე „პარტიის გაზვიადირება და შინაპარტიული ცხოვრების ზოგიერთი საკითხი კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე“. კონფერენციაში, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიის ისტორიის ინსტიტუტმა და საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომმა, მონაწილეობდნენ პარტიული და კომკავშირული აქტივი, პროპაგანდისტები და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა **ვ. ქარუმიძემ,** „სკკპ XXIV ყრილობა კომუნისტის მშენებლობაში პარტიის ხელმძღვანელი როლისა და შინაპარტიული დემოკრატიის განმტკიცებაში“ — ასეთი იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ **გ. დოლიძის** მოხსენების თემა, ხოლო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა დოცენტმა **შ. თეთვაძემ** წაიკითხა მოხსენება „მასებთან მჭიდრო კავშირი და კოლექტიურობა პარტიული ხელმძღვანელობის უმაღლესი პრინციპია“. კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა **გ. ყვანიამ.**

ორატორებმა მოიყვანეს მაგალითები რესპუბლიკის, რაიონის ცხოვრებიდან იმის შესახებ, თუ რა უარყოფით მოვლენებს ჰქონდა ადგილი უკანასკნელ წლებში, რომ ირღვეოდა შინაპარტიული დემოკრატია, უგულებელყოფილი იყო კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, ილაპარაკეს იმ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე, რომლებსაც ახორციელებს ამჟამად რესპუბლიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

კარგი ღონისძიება

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ თელავის რაიკომმა რესპუბლიკურ აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად ამრეულის ძაფსახვევსაგრეხი ფაბრიკის მუშათა კლუბში მოაწყო თეორიული კონფერენცია თემაზე — „საზოგადოების როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში“.

მოხსენებით — „ხულიგნობა, როგორც საზოგადოებრივად სამაში დანაშაული“ გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი დ. მახარაძე. საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებო განყოფილების პროკურორის მ. კიკოზაშვილის მოხსენების თემა იყო — „კანონიერების განმტკიცება და შრომელთა კოლექტივები“, თელავის რაიონის პროკურორის ტ. მეტრეველისა — „დამნაშავეობა და მასთან ბრძოლა“, თელავის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გ. მაღრადძისა — „ოჯახის განმტკიცების საფუძვლები“.

კონფერენციის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაბრიკის მუშებმა.

ᲩᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

ᲛᲗᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲢᲐᲠᲒᲘᲐᲜᲘ

ᲔᲗᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲓᲚᲘᲣᲠᲘᲓᲐᲜ

ᲘᲡᲝᲛᲘ ხვარია, სუნთქვა ჭირს. დაკიდებულ ბილიკზე კი არ მივდივართ, მივდოდავთ.

— ცოტას ავდითო, ბატონო, და აქვეა! — დაგვიამედეს ქვემოთ. ახლა აღარ დამთავრდა ეს უსასრულო აღმართი. დროდადრო წამლების ჩრდილში შევისვენებთ, აკოთქოთებულ გულებს საგულეში ჩავაყენებთ და ისევ შევუდგებით, როგორც საბიჯყოფა, ულმობელ წვალრნას. გვიდირსა, ავივაკეთ. უფლის ხელით ღამატულია ეს კარმიდამო. ტყეში სოკოსავით ამოსული პატარა ბექობი გაუვაკებიათ, მიწა რომ არ ჩაწოლილიყო, ირგვლივ ყორეები შემოუფლიათ. უმთავრეს ტერასაზე სახლი დგას, ძველთამეული, საფაფურ-ერდოიანი ძელური, ულურსმნოდ ნაგები, კვამლისაგან გიშრისფრად შეღებილი. სხვა „ნამშრალები“ (სამეურნეო ნაგებობანი) შესაბამის ტერასებზეა განლაგებული. მარანი, ბეღელი და სათონე ერთმანეთის ახლოს აუშენებიათ, ხოლო ტყის პირას, მოფარებულ ადგილზეა საბძელ-ბოსელი, საღორე, საქათმე და საცხვრე. ისიც კია გათვალისწინებული, ნიავი საით უბერავს, რათა ცუდმა სუნმა სახლამდე არ მიიაღწიოს. ყველა ნაგებობას არა მარტო დანიშნულების მიხედვითა აქვს ადგილი შერჩეული, არამედ თვითეული ოსტატურად შეხამებულია უაღრესად დანაწევრებულ რელიეფთან. სწორედ ეს ქმნის იმ განუმეორებელ სილამაზეს, რასაც იმერელი გლეხის კარმიდამო ეწოდება. მოხიბლული ვათვალიერებთ სწორუპოვარი დიდოსტატის დაგეგმარებულ საცხოვრისს, რომელიც აგერ ქუდმოხდილი დგას და შინ გვეპატიჟება.

ამ კაცმა, მამას რომ გაეყო, შთამომავლობით გადმოცემული, მრავალსაუკუნოვანი ცოდნა-გამოცდილების წყალობით მოქარგა ეს მწირი ფერდობი, აქცია ეროვნული თვითმყოფადობის გამომხატველ, მოყრილ-ხებულ საცხოვრებელ ადგილად, ახლა კი აღარ ენანება თავისი ნაოფლარი, სიამოვნებით ჩაესახლება გზის პირას და თავისი ახალი სახლ-კარით სოფელს ერთ უგემოვნების ნიშუნს კიდევ მუმატებს.

სანამ არქიტექტორები სულმოთქმელად მუშაობდნენ, რათა აესახათ და ისტორიისათვის მაინც შემოენახათ ეს განუმეორებელი, უკვე მოძულებული კარ-მიდამო, ამაოდ ვეძიდლობდი მასპინძელი დამერწმუნებინა, რომ მამა-პაპისეული სჯობს ამჟამად სოფლებში მოდადქცეულ ზოგიერთ ახალ ნაგებობას. ის არ მეთანხმებოდა, მგონი თვით ცხოვრება ლაპარაკობდა მისი ენით:

— ძველი რაც გაგვიკეთებია, ძველ საქმიანობას შეესაბამებოდა, ახლა კი მაგისი დრო აღარ არისო.

მართლაც ასეა. გლეხის კარ-მიდამო ყოველთვის უასაუხებდა მეურნეობის დონეს, სახლი და ეზო ის ფოკუსია, სადაც თავს იყრის ცხოვრების ყველა რეალიები, მათი შეცვლა შემთხვევით არ ხდება, არამედ დამოკიდებულია თვისებრივ ცვლილებებზე, ქვეყნის სოციალისტური ტიპის გარდაქმნა დიდი ისტორიული პროცესია, რომელიც გეგმაზომიერად სპობს ყოველგვარ ჩამორჩენილობას და რეტინას. რაკინდ რომანტიკული ან კოლორიტულიც უნდა იყოს კვარი ან ჭრაქი, ბუნებრივია, ელექტრობის ხანაში მათ პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული აქვთ. ქართული სოფლების ძველი განსახლება შეესაბამებოდა საკაპანო ტრანსპორტის შესაძლებლობას, როცა მთაში რთულ რელიეფთან იდეალურად შეგუებული ჩოჩიალა ურემს იყენებდნენ, ხოლო სადაც იგი ვერ აღწევდა, იქ დასაპალნებული ცხენი აპყავდათ. ახლა ცხენი და ურემი ინვალიდად იქცა, სოფლის უმთავრესი სამგზავრო და ტვირთზიდვის საშუალება ავტომანქანა გახდა. ამიტომ საავტომობილო გზა ანდამატივით იზიდავს მოსახლეობას, იგი სასიცოცხლო არტერიაა და უმეტესობას ათმობინებს წინაპართგან ნასათუთევ „ეზო-მიდამოს“. ე. წ. „ქალაქური“ სახლების მშენებლობაც უფრო იაფი ჯდება და ასე იცვლის თანამედროვე სოფელი სახეს. ეფექტობთ, ამ პროცესის ასეთნაირად გაგრძელება დაუშვებელია. სოციალისტური წყობილების ძალა სწორედ იმაშია, რომ სტიქიურობას ბოჭავს და საზოგადოება მიაყავს პარტიის მიერ გაკვალული, მეცნიერულ გეგმაზე დამყარებული გზით. ამიტომ თანამიდროვე სოფლის განსახლება უნდა ექვემდებარებოდეს წინასწარ შემუშავებულ გეგმას. ეს გეგმა კი უნდა შედგეს საქართველოს თვითეული კუთხის ისტორიული დასახლების ტიპის დეტალური შესწავლის საფუძველზე.

თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველოს მშვიდობიანი მშენებლობის ისეთი შესაძლებლობა არასოდეს არ ჰქონია, როგორიც დღესა აქვს. ამ შესაძლებლობას ჩვენი მშრომელები მაქსიმალურად იყენებენ, მაგრამ წინასწარ ნაანდერძეგზე დასახლების ტიპსა და ნაგებობებზე თითქმის უარს ამბობენ. ყოველივე ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ გარკვეულ როლს თამაშობს ერთგვარი ნიჰილიზმი, მოდის აყოლა, წინაპართა ნაამაგარის შეუფასებლობა. აღარ მოგვწონს ძველებური სახლ-კარი, ავეკით, ვეცვლით ახლით და იმას აღარ ვიცვალისწინებთ, თუ რამდენად შეესაბამება იგი ჩვენს ბუნებას და, ყოფით თავისებურებებს.

არქიტექტორები მორჩნენ მუშაობას. კიდევ ერთი ტიპური ძველ-ქართული კარმიდამო შემოენახა ისტორიას. ჩვენი მასპინძელი ალბათ ჩაესახლება ბალისუბანში, აქ კი ნასახლარი დარჩება, რომლის კვლს მალე ღვარცოფები წაშლიან და კიდევ ერთი მთის სოფელი გაქრება საქართველოს რუკიდან...

ვერ ვიტყვით, რომ ეს საკითხი უყურადღებოდ იყოს დატოვებული, პრესაშიც ხშირად იბეჭდება სათანადო კორესპონდენციები, ნაირ-ნაირ რჩევას იძლევიან. ზოგი ხელალებით აცხადებს, დაჩაჩანული სოფლების ნაცვლად კომპაქტური დასახლებები შეიქმნათო, თავისთავადაც ასე ხდება. რაიონის ცენტრი თუ ზღაბაქიელზე მდებარე რომელიც გზებავთ დაბა ხალხის სიჭარბეს განიცდის, იქ საოსახლოს შოვნა პრობლემაა და ხანდახან ანგარებისკენაც უბიძგებს სულმოკლეთ. სოფლები კი, რომლებიც ალამაზებენ და სიცოცხლეს ანიჭებენ ზვიად მთებს, თანდათან უკაცრიელდებიან. დიახ, ძნელია მთაში გზების გაკვანა, კომუნალური და საყოფაცხოვრებო კეთილმოწყობა, კულტურული კერების შექმნა, მაგრამ მაღალმთიანეთში მოსახლეობის შენარჩუნებაც ხომ ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლო აუცილებლობაა, რაზედაც განსაკუთრებით გამამახვილა ყურადღება საქართველოს კომუნისტური პარტიის X პლენუმმა. მთათუმეთი დაიცალა და ამ კუთხის ღვთიური ბუნება დაობდა, გაუფერულდა... არა, მთათუმეთის ბედი არ უნდა გაუბიაროს საქართველოს მაღალმთიანეთმა, სანამ გვიან არ არის, ვეცადოთ რომ მთიელებმა მთა არ გასწირონ.

მეცნიერები დიდი ხანია სწავლობენ ამ პრობლემას და ანგარიშგასაწევ, საგულისხმო ნაშრომებსაც აქვეყნებენ. საჭიროა ყველა მონაცემის გაანალიზება, შეერთება და ცხოვრებაში დასანერგავად გაკაზრება. შემდეგომ კვლევა-ძიებასთან ერთად აუცილებელია მრგვალ მაგიდას შემოუსხდეს, ვისთვისაც „ჯერ არს“ და „ხელეწიფება“, რათა მოგვარდეს მთაში მოსახლეობის შენარჩუნების მტკივნეული საკითხი.

ამ საქმეს აღარ ეგვიანება!

ლ. ფრუიძე,

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

„საქართველოს კუთხე“ ᲩᲔᲠᲜᲝᲕᲘᲪᲨᲘ

ᲒᲝᲛᲔᲚᲘᲡᲬᲘᲠᲘ. (საკ. კორ.). ᲛᲝᲛᲓᲘ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲩᲔᲠᲜᲝᲕᲘᲪᲘᲡ 37-Ე ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲡᲛᲔᲑᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲚᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲣᲒᲖᲐᲕᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲠᲕᲐᲛᲔᲢᲘᲐᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲡ“ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲗ.

ᲓᲝᲛᲐᲨᲕᲘᲚᲛᲔᲑᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐᲒᲠᲘᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲠᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲦᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ. ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ.

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲡᲬᲔᲠᲔᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲓᲝᲪᲔᲜᲢᲘ Გ. ᲓᲝᲚᲘᲫᲔ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Გ. ᲧᲕᲐᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲔᲑᲘ.

ᲛᲝᲛᲫᲛᲘ ᲠᲣᲡᲣᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲓᲜᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲬᲔᲠᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲦᲒᲐᲜᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲐᲦᲬᲔᲠᲔᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ. ᲐᲛᲐᲓᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲜᲔᲯᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ.

საბჭოთა კავშირ-ინგლისის კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით 1973 წლის 2-5 დეკემბერს საბჭოთა კავშირში ოფიციალური ვიზიტით იყო დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი ა. დუგლას-ჰიუმი. მოსკოვს გარდა მინისტრი ეწვია ლენინგრადს.

მოსკოვში ყოფნის დროს საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრი მიიღო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ და ესაუბრა მას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს ა. ა. გრომიკოსა და დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრს ა. დუგლას-ჰიუმს შორის გაიმართა მოლაპარაკება მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებსა და საბჭოთა კავშირ-ინგლისის ურთიერთობის განვითარების საკითხებზე.

მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: საბჭოთა კავშირის მხრივ — სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. პ. კოზირევი, სსრ კავშირის ელჩი ლონდონში ნ. მ. ლუნკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრები ვ. პ. სუსლოვი, მ. ფ. სიტენკო და სხვები; ინგლისის მხრივ — დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრის მუდმივი მოადგილე სერ თომას ბრიმელოუ, დიდი ბრიტანეთის ელჩი მოსკოვში სერ ტერენს პარვი, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განყოფილებათა გამგეები ჯ. ლ. ბულარდი, ა. ჯ. მ. კრეიგი და სხვები.

საუბრები და მოლაპარაკება მეგობრულ, საქმიან ვითარებაში მიმდინარეობდა.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს პოზიტიური ტენდენციები საერთაშორისო ვითარებაში, უწინარეს ყოვლისა ევროპაში, რომლებიც სახავენ სხვადასხვა პოლიტიკური, ეკონომიური და სოციალური სახელმწიფოების მეგობრობისა და მშვიდობიანი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს. ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განზრახული აქვთ ყოველნაირად შეუწყონ ხელი ამ დადებითი ტენდენციების დამკვიდრებას.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი ყველაზე დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, რომლებიც განხილეს ევროპაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის შესახებ თათბირის მეორე ეტაპზე. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ თათბირის წარმატებულ დამთავრებას ჰელსინკის თათბირის პირველ ეტაპზე მოწონებული რეკომენდაციების საფუძველზე.

შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების ურთიერთშემცირებისა და ცენტრალურ ევროპაში ამასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ მოლაპარაკების საკითხის განხილვისას მხარეებმა ხაზი გაუსვეს რომელიმე მხარის უშიშროებისათვის ზიანის მიუყენებლობის პრინციპის დიდ მნიშვნელობას და ორივე მხარის მისწრაფებას, რომ მოლაპარაკებამ ხელი შეუწყოს უფრო მყარი სასელმწიფოთაშორისო ურთიერთობის შექმნასა და ევროპის მშვიდობის და უშიშროების განმტკიცებას.

განიხილეს რა ახლო აღმოსავლეთის მდგომარეობა, მხარეებმა კვლავ დაადასტურეს, რომ სსრ კავშირისა და დიდი ბრიტანეთის მიზანია მიაღწიონ სამართლიან და მტკიცე მშვიდობიან მოწესრიგებას ამ რაიონში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს 242-ე, 338-ე, 339-ე და 340-ე რეზოლუციების ყველა ნაწილის შესრულების საფუძველზე. ისინი შეთანხმდნენ ყოველი ღონე იხმარონ ამ მიზნების მისაღწევად.

მოლაპარაკების დროს გაიმართა განიარაღების, საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლის, საზღვაო სამართლისადმი მიძღვნილი მომავალი კონფერენციის საკითხების სასარგებლო განხილვა.

მხარეებმა განიხილეს ინდოჩინეთის მდგომარეობა და დაადასტურეს, რომ საჭიროა ზუსტად შესრულდეს პარიზის შეთანხმებანი ვიეტნამში ცეცხლის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შესახებ. მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ინდოჩინეთის ყველა ხალხს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა თვითონ გადაწყვიტოს თავისი ბედი გარედან ჩაურევლად.

მინისტრებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ გაუმჯობესდა ორი ქვეყნის ურთიერთობა და ხაზი გაუსვეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დონის პოლიტიკური კონტაქტებისა და კონსულტაციების განგრძობასა და გაფართოებას მათთვის რეგულარული ხასიათის მისაღებად.

მხარეებმა აღიარეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყნისათვის სასარგებლო ვაჭრობის განვითარებას და აღნიშნეს სხვადასხვა ფორმის ეკონომიური თანამშრომლობის მნიშვნელობა. მათ მხარი დაუჭირეს იმას, რომ უახლოეს ხანში ხელი მოაწერონ 10 წლის შეთანხმებას ეკონომიური, მეცნიერულ-ტექნიკური და სამრეწველო თანამშრომლობის განვითარების შესახებ.

მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრი სხვადასხვა დარგში, მათ შორის გარემოს დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, სოფლის მეურნეობის, სამოქალაქო ავიაციის დარგში თანამშრომლობის განვითარების პერსპექტივების შესახებ. მათ მხარი დაუჭირეს აგრეთვე კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმისა და სხვა დარგებში ორი ქვეყნის ხალხთა კავშირურთიერთობის განვითარებას.

მხარეებმა აღნიშნეს, რომ 1974 წლის თებერვალში სრულდება საბჭოთა კავშირისა და დიდ ბრიტანეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 50 წლისთავი, და გამოთქვეს აზრი, რომ ეს თარიღი სათანადოდ აღინიშნოს ორივე ქვეყანაში.

ორივე მხარემ დაადასტურა მისწრაფება განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა კავშირისა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობა ურთიერთპატივისცემის საფუძველზე, და გამოთქვა რწმენა, რომ ამ ურთიერთობის მეგობრული ხასიათი შეესაბამება საბჭოთა ხალხისა და ინგლისელი ხალხის ინტერესებს და ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების შემდგომ გაჯანსაღებას, ევროპისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებას.

ა. დუგლას-ჰიუმმა ა. ა. გრომიკოს აცნობა, რომ დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ე. ჰიტი კმაყოფილებით შეხვდა საბჭოთა მთავრობის ახლახან დადასტურებულ მიწვევას საბჭოთა კავშირში. ე. ჰიტს იმედი აქვს, რომ ამ მიწვევით ისარგებლებს 1974 წლის მანძილზე.

დიდი ბრიტანეთის საგარეო და თანამეგობრობის საქმეთა მინისტრმა ა. დუგლას-ჰიუმმა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მიიწვია დიდ ბრიტანეთში 1974 წელს. ა. ა. გრომიკო მიწვევას კმაყოფილებით დათანხმდა. ვიზიტის დრო შეთანხმებული იქნება დამატებით.

● ამგვარი ● ფაქტები ● პროგლემები

რეპრესიები სტუდენტთა წინააღმდეგ მოითხოვა გადადგომა

○ საბერძნეთი ○ ლანია

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდისი). დღედან ექვსი კომუნისტი-დეპუტატი დაიცავს დანიელ მშრომელთა ინტერესებს ამ ქვეყნის ფოლკეტინგში (პარლამენტში). 4 დეკემბერს გამართულ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში დანიელ კომუნისტებს ხმა მისცა 110 ათასმა ამომრჩეველმა.

კომუნისტთა წინასაარჩევნო ბრძოლა მიმდინარეობდა მშრომელთა ინტერესების დაცვის, საერთო ბაზრიდან და ნატოდან ქვეყნის გამოსვლისათვის, გადასახადების შემცირებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

არჩევნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ფოლკეტინგის შემადგენლობა. პარლამენტში ახლა წარმოდგენილ იქნება არა 5, არამედ 10 პოლიტიკური პარტია. „ენენსყრის წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ არჩევნებმა სერიოზულად შეასუსტა არა მარტო მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ აგრეთვე ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიების პოზიციები. წინანდელი 70 დეპუტატის ადგილის ნაცვლად ახლა სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტში მიიღეს მხოლოდ 46 დეპუტატის ადგილი. „ძველი“ ბურჟუაზიული პარტიების კონსერვატიული სახალხო, მემარცხენე ლიბერალური (ვენსტრე) და რადიკალური მემარცხენე პარტიების ბლოკს ახლა 88 დეპუტატის მანდატის ნაცვლად აქვთ მხოლოდ 58 დეპუტატის მანდატი.

დარჩენილი ოთხი მანდატის ბედი გადაწყდება მომავალ კვირაში გრენლანდიაში და ფარერის კუნძულებზე გამართული არჩევნების დროს.

როგორც კი ცნობილი გახდა არჩევნების შედეგები, პრემიერ-მინისტრმა ა. ოლგენსენმა დედოფალ მარგრეტ მეორეს გადასცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან შედგება. დედოფალმა წინადადება მისცა მთავრობას შეასრულოს თავისი მოვალეობანი ახალი მთავრობის შექმნამდე.

□

ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐᲓ

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐᲓ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲛᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐᲓ ᲛᲝᲣᲬᲧᲝ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲤᲚᲐᲕᲐᲓ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: ᲐᲮᲐᲚᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲜᲘ ᲝᲚᲓᲢᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ. — ᲪᲐᲡ-ᲡᲐᲥᲓᲔᲡᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ

Ჟ. ᲛᲐᲠᲨᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ, 6 დეკემბერი. (საკდისი). **საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც აქ გაიმართა, საბოლოო სიტყვა წარმოთქვა საფრანგეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჟ. მარშემ.**

ფაქტების ყურადღებით შესწავლა, განაცხადა ჟ. მარშემ, გვიჩვენებს, რომ კრიზისი, რომელსაც საფრანგეთის საზოგადოება განიცდის, ღრმავდება. ძლიერდება ინფლაცია, იზრდება სიძვირე, ფარულდება დასაქმების მდგომარეობა, იხურება ქარხნები, საბუშაოდან ითხოვენ მუშებს, ძლიერდება უმუშევრობა.

ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ სოციალური პროგრესისა და დემოკრატიული განახლების პოლიტიკის გაგრძელებისათვის ქვეყანაში საჭიროა განხორციელდეს ღრმა რეფორმები მემარცხენე ძალების ერთობლივი სამთავრობო პროგრამის საფუძველზე. ეს პროგრამა, ხაზი გაუსვა მან, საფრანგეთის პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალური, მუდმივი ფაქტორი გახდა.

შეეხო რა მსოფლიოში მდგომარეობის განვითარებას, ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობა იცვლება სოციალიზმის ძალების სასარგებლოდ.

შეეხო რა დასასრულ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, ჟ. მარშემ აღნიშნა, რომ წელს მის რიგებში 62 ათასზე მეტი ახალი წევრი შევიდა.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ

ᲙᲝᲞᲐᲜᲰᲐᲒᲔᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდისი). დღედან ექვსი კომუნისტი-დეპუტატი დაიცავს დანიელ მშრომელთა ინტერესებს ამ ქვეყნის ფოლკეტინგში (პარლამენტში). 4 დეკემბერს გამართულ პარლამენტის რიგგარეშე არჩევნებში დანიელ კომუნისტებს ხმა მისცა 110 ათასმა ამომრჩეველმა.

კომუნისტთა წინასაარჩევნო ბრძოლა მიმდინარეობდა მშრომელთა ინტერესების დაცვის, საერთო ბაზრიდან და ნატოდან ქვეყნის გამოსვლისათვის, გადასახადების შემცირებისა და ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლის ლოზუნგებით.

არჩევნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა ფოლკეტინგის შემადგენლობა. პარლამენტში ახლა წარმოდგენილ იქნება არა 5, არამედ 10 პოლიტიკური პარტია. „ენენსყრის წინასწარი შედეგები გვიჩვენებენ, რომ არჩევნებმა სერიოზულად შეასუსტა არა მარტო მმართველი სოციალ-დემოკრატიული პარტიის, არამედ აგრეთვე ოპოზიციური ბურჟუაზიული პარტიების პოზიციები. წინანდელი 70 დეპუტატის ადგილის ნაცვლად ახლა სოციალ-დემოკრატებმა პარლამენტში მიიღეს მხოლოდ 46 დეპუტატის ადგილი. „ძველი“ ბურჟუაზიული პარტიების კონსერვატიული სახალხო, მემარცხენე ლიბერალური (ვენსტრე) და რადიკალური მემარცხენე პარტიების ბლოკს ახლა 88 დეპუტატის მანდატის ნაცვლად აქვთ მხოლოდ 58 დეპუტატის მანდატი.

დარჩენილი ოთხი მანდატის ბედი გადაწყდება მომავალ კვირაში გრენლანდიაში და ფარერის კუნძულებზე გამართული არჩევნების დროს.

როგორც კი ცნობილი გახდა არჩევნების შედეგები, პრემიერ-მინისტრმა ა. ოლგენსენმა დედოფალ მარგრეტ მეორეს გადასცა განცხადება თავისი მთავრობის გადადგომის შესახებ, რომელიც სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებისაგან შედგება. დედოფალმა წინადადება მისცა მთავრობას შეასრულოს თავისი მოვალეობანი ახალი მთავრობის შექმნამდე.

□

ᲡᲐᲥᲠᲘᲡᲢᲝᲡ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ ᲨᲔᲡᲬᲝᲠᲔᲑᲘᲗ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ქალაქ საუტჰემპტონის უნივერსიტეტში დადგეს ტანსაცმლის ახალი საკიდები, რომლებსაც გაუკეთეს წარწერა: „მხოლოდ დოცენტებისათვის“. მეორე დღეს საკმაო იუმორის მქონე ანონიმურმა ავტორმა ამრას მიაწერა: „გამონაკლის შემთხვევაში აგრეთვე პალტოებისათვის“.

ᲡᲐᲓᲦᲐᲐ „ᲣᲡᲐᲥᲛᲣᲠᲗᲐ ᲙᲚᲣᲑᲘ“?

ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲘᲗᲐᲠᲘ კლუბებისა და საზოგადოებების რაოდენობის მიხედვით აბსოლუტური „რეკორდსმენად“ ყოველთვის ინგლისი ითვლებოდა. მაგრამ ამ ბოლო დროს მას სერიოზული მეტოქე გამოუჩნდა — საფრანგეთი. აი საფრანგეთის ზოგიერთი კლუბების სახელწოდება: „ფეხით მოსიარულეების დამცველთა კლუბი“, „100-კილოგრამიანთა კლუბი“, „ულამაზო მამაკაცთა კლუბი“, „კლუბი ავტომობილისტებისა, რომლებსაც მარტო მგზავრობა არ უყვართ“. ამას წინათ კი გაიმართა „სახედართა მეგობრების კლუბის“ წევრთა ყოველწლიური კრება.

ᲬᲘᲠᲕᲐ ᲜᲘᲡᲘᲐᲚ

ᲗᲐᲕᲘᲡᲘ გალარიბებული სალაროს შევსების მიზნით ბუფალოს (ნიუ-იორკის შტატი, აშშ) კათოლიკურმა ეკლესიამ გამოაცხადა, რომ შეწირულებანი მიიღება როგორც ნაღდ ფულად, ისე ნისიად საკრედიტო ბარათებით. ეკლესიის მსახურნი ამ სიახლეს იმით ხსნიან, რომ იგი მრევლს საშუალებას მისცემს საეკლესიო ხარჯები შეიტანოს თავის საოჯახო ბიუჯეტში, და ერთხელ და სამუდამოდ მიაჩვევს მას, რომ საეკლესიო ხარჯები ისევე სავალდებულოა, როგორც ტელეფონის ან სასურსათო მაღაზიების ანგარიშების გადახდა.

ᲡᲐᲮᲚᲘ... ᲔᲠᲗ ᲓᲝᲚᲐᲠᲐᲓ?!

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲐᲨᲘ (აშშ) არის ძველი, ნახევრადდანგრეული ქოხმახების მთელი კვარტალები. საცხოვრებლად უვარგისი ბევრი ასეთი შენობა, ბუნებრივია, ცარიელია. ქალაქის თავებმა გადწყვიტეს მათი ჩალის ფასად გაყიდვა და გამოაცხადეს, რომ იყიდება სახლები ცალი... ერთ დოლარად. მაგრამ მყიდველი არ მოინახა. საქმე ის არის, რომ ქალაქის ხელისუფლებამ ამავე დროს თავიანთი პირობაც წამოაყენეს: ასეთი სახლის მყიდველები ვალდებული არიან იცხოვრონ მასში არანაკლებ ხუთი წლისა, ხოლო სახლი მთლიანად რომ არ დაინგრეს, უნდა გაუკეთონ რემონტი თავიანთ ხარჯზე.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲓᲦᲔᲡ

მდგომარეობა საგერძნეთში

ᲐᲗᲔᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდისი). **განხორციელდა ნაწილობრივი რეორგანიზაცია საბერძნეთის მთავრობისა, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ანდრუციოპულოსი მეთაურობს.** კაბინეტის შემადგენლობაში შეყვანილია **ექვსი ახალი** მინისტრი. ზოგიერთ მათგანს თვალსაჩინო პოსტი ეკავა 25 ნოემბერს მომხდარი საბჭედრო გადატრიალების შედეგად დახობილი პრეზიდენტ პაპადოპულოსს მთავრობაში. შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულია ეუმბასი, რომელსაც პაპადოპულოსის მთავრობაში ერთ დროს საზოგადოებრივი წესრიგის მინისტრის პოსტი ეკავა.

საბერძნეთის **ახალი მთავრობის** პოლიტიკა გააკრიტიკა საბერძნეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა კანელლოპულოსმა. „დაახლოებით შვიდი წელია, — თქვა მან, — ქვეყანა ჩიხშია მოქცეული. დღეს საბერძნეთში ხდება ისეთივე ამბები, როგორიც მთელი უკანასკნელი წლების მანძილზე ხდებოდა. უნდა შევიტყოთ, რომ ამ საქმეში ბრალი მიუძღვით არა ცალკეულ პირებს, არამედ თვით მმართველობის სისტემას“.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 დეკემბერი. (საკდისი). 40 დახოცილი, ათასამდე დაჭრილი, 3.000 დაპატიმრებული — ასეთია ნოემბრის მსობრივი გამოსვლების დროს უმაღლეს სასწავლებელთა სტუდენტების წინააღმდეგ საბერძნეთის ხელისუფალთა რეპრესიული მოქმედების შედეგი. ეს მონაცემები მოყვანილია დოკუმენტში, რომელიც გავრცელეს საზღვარგარეთ ბერძენ სტუდენტთა საკოორდინაციო ბიუროს წარმომადგენლებმა, რომლებიც ევროპელ სტუდენტთა მე-11 კონგრესზე მუშაობდნენ.

ბერძენი სტუდენტები, — ნათქვამია განცხადებაში, კვლავაც განაგრძობენ ბრძოლას დემოკრატიის აღდგენისათვის, ყველა რეპრესიული კანონის გაუქმებისა და დაპატიმრებული ამხანაგების განთავისუფლებისათვის.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 5 დეკემბერი. (საკდისი). **როგორც ინგლისის პრესა იუწყება, ხელისუფლებამ დახურეს ათენის დიდი გაზეთი „ვრადინი“, რომელიც კონსერვატიული მიმართულებისა იყო.** ამ აქციის სპასი გახდა გამოქვეყნებული სტატია, რომელიც გაკრიტიკებული იყო პრემიერ-მინისტრის ანდრუციოპულოსის სპეკულაციებისა და კონსულტაციების განგრძობასა და გაფართოებას მათთვის რეგულარული ხასიათის მისაღებად.

ᲤᲐᲥᲩᲔᲑᲘ

ᲢᲔᲚᲔᲢᲐᲘ�პᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲓᲐᲜ

6 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ

ᲛᲝᲚᲐ�პᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲓᲔᲚᲘ. აქ დამთავრდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ინდირა განდისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის გუსტავ ჰუსაკის მოლაპარაკება. მოლაპარაკების დროს მათ განიხილეს მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები, აგრეთვე ინდოეთ-ჩეხოსლოვაკიის ორმხრივი ურთიერთობის განვითარების საკითხები.

ᲑᲐᲜᲒᲚᲐᲓᲔᲨᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲘᲠᲘᲚᲝᲑᲐ

ᲓᲐᲙᲐ. აქ გაიხსნა ბანგლადეშის კომუნისტური პარტიის II ყრილობა. ყრილობის დელეგატები განიხილავენ ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ ვითარებას, მიიღებენ მოქმედების პროგრამას, აირჩევენ ცენტრალური კომიტეტის ახალ შემადგენლობას.

ყრილობაზე ჩამოვიდნენ მოძმე პარტიათა დელეგაციები საბჭოთა კავშირიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ინდოეთიდან.

პლენარულ სხდომაზე პოლიტიკური მოხსენება გააკეთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აბდულ სალამმა.

ყრილობის მუშაობა 9 დეკემბრამდე გასტანს.

ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ ᲰᲘ�პᲔᲠᲢᲝᲜᲘᲘᲗᲘ ᲓᲐᲐᲕᲐᲓᲔᲑᲐ

ᲢᲝᲙᲘᲝ. უკანასკნელი წლების მანძილზე იაპონიაში მკვეთრად იმატა ჰიპერტონიით დაავადების რიცხვმა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ გამოაცხადა, რომ განსაკუთრებით გახშირდა ჰიპერტონიით დაავადება 25-დან 44 წლამდე ასაკში.

სპეციალისტები ჰიპერტონიული დაავადების მკვეთრი გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად ახასელებენ იაპონიაში ურბანიზაციის ზრდასა და ნერვული სისტემის გადატვირთვას.

ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲔᲑᲘ

ᲮᲐᲜᲫᲐᲠᲘ ᲚᲔᲠᲬᲛᲘᲡ ᲙᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 6 დეკემბერი. (საკდისი). ექვსი კაცი დაიღუპა და ოთხმა მძიმე სიდამწვრე მიიღო ხანძრის შედეგად შაქრის პლანტაციაში ვისენსიის ახლოს (90 კილომეტრზე ბრაზილიის ქალაქ რესიფის ჩრდილოეთით).

როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი იტყობინება, წელს ხანძრებმა ბრაზილიის ამ რაიონში გაანადგურეს 100 ათასამდე ტონა შაქრის ლერწამი.

ᲡᲐᲧᲝᲕᲔᲚᲗᲐᲝ ᲛᲝᲬᲛᲝᲓᲔᲑᲐ

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲚ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲡ!

ᲛᲗᲔᲚ ᲙᲚᲘᲜᲢᲐᲖᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲘᲠᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲨᲔᲣᲡᲢᲐᲪᲘᲡ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲒᲘᲜᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲔ ᲮᲣᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲮᲠᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲡᲐᲮᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ.

ᲞᲠᲐᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ მოვიდა ცნობა, რომ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციამ მოუწოდა ყველა ქვეყნის მშრომელებსა და პროფკავშირებს — დარაზმონ თავიანთი ძალები და მიაღწიონ ჩილეს ხუნტის კომპარტიის გენერალური მდივნის ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელი პატრიოტების განთავისუფლებას.

ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია მოითხოვს დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ლუის კორვალანი და ყველა პოლიტიკური პატიმარი, რომლებიც დილეგებში დაამწყვდია ჩილეს ხუნტამ, განაცხადა სანდესის ნიუიორკელ კორესპონდენტთან საუბარში ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური კომიტეტის წევრმა ჰელენ უინტერმა. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, თქვა მან, მიიღო გადაწყვეტილება გაშალოს ბრძოლის ფართო კამპანია ასეთი ლოზუნგით.

აი უკვე ორი თვეა, რაც საფრანგეთში მომდინარეობს ხუსტრების შეგროვება ჩილელი ხალხისადმი დახმარების ფონდში. ეს ფართო აქცია ხორციელდება ჩილესადმი სოლიდარობის ეროვნული კომიტეტის ინიციატივით, რომელშიც შედის 18 პროგრესული პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ყოველდღე „ჩილესადმი სოლიდარობის“ ბანკის სპეციალურ ანგარიშზე შემოდის საფრანგეთის მშრომელთა, ახალგაზრდობის, სტუდენტთა ანარიცხები.

კარაკასიდან იუწყებიან, რომ ვენესუელის მთავრობამ გაამეორა ქვეყნიდან იქ ჩასული ჩილეს სამხედრო ხუნტის წარმომადგენელი ლუის ვილარინის მეთაურობით. ეს პირწავარდნილი რეაქციონერი მეთაურობდა სატვირთო მანქანების მფლობელთა გაფიცვებს და აქტიურად მონაწილეობდა პრეზიდენტ სალვადორ ალიენდეს მთავრობის დამხობაში. პუტჩისტთა ვიზიტის მიზანი იყო ცდა — გაემარილებინათ ვენესუელის საზოგადოებრიობის თვალში ფაშისტური რეჟიმის დანაშაულობანი ჩილეში და შეეესუტებინათ ჩილელი ხალხისადმი სოლიდარობის მასობრივ დემონსტრაციებს, რომლებიც ვენესუელაში გაიმართა.

(საკდისი, 6 დეკემბერი).

□

ᲩᲘᲚᲔᲚᲘ ხალხის მამაცური ბრძოლა ხუნტის წინააღმდეგ, ჩახშობილი თავისუფლებისა და დემოკრატიული უფლებების აღდგენისათვის ფართო მხარდაჭერას პოულობს მთელ მსოფლიოში. მრავალ ქვეყანაში იზრდება ჩილელ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობა, ეწყობა საპროტესტო მიტინგები ხუნტის რეაქციის დასაგმობად. ეს გახდა თემა პლაკატისათვის, რომელიც ამას წინათ გამოუშვა დასავლეთ გერმანიის შემოქმედებითმა გაერთიანებამ „გრუპე ვერკშტატმა“.

„უნზრეკ ცაიტ“, დიუსელდორფი.

ᲞᲠᲘᲖᲘᲡᲘ ᲛᲬᲕᲐᲕᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. აქაური პრესა იუწყება, რომ ინგლისის თხევადი სათბობის რეზერვები „კრიტიკულ წერტილამდე“ შემცირდა. ნავთობის ნაკლებობის გამოიკვლევა წარმოება ფოლადსადნობ და მრეწველობის სხვა დარგებში. ლონდონში უკვე დაიხურა ბენზინის ჩამომსხმელი ნაგებენარი. მოქმედ ბენზინის წერტილთან გრძელი რიგები დგას.

ეკონომიურმა სიძნელეებმა ლონდონის საფონდო ბირჟაზე აქციების მკვეთრი დაცემა გამოიწვია.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ. იმ „შეზღუდული ღონისძიებათა“ შედეგად, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს ენერგიულდეფიციტის დაზოგვის მიზნით, იხურება სკოლები, ჩნდება უმუშევრობის ზრდის საფრთხე, ნთქვამია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განცხადებაში.

ამ დროს, აღნიშნულია განცხადებაში, არაბული ქვეყნების ნავთობის ემბარგო საფრანგეთზე არ ვრცელდება. სათბობის უკმარობის რეალური მიზეზი ის არის, რომ საფრანგეთის ნავთობის კომპანიები მოგების მიზნით დიდძალ ნავთობპროდუქტებს იღებენ ეროვნული ბაზრიდან და მერე ფასად უკბაზენან ქვეყნებს, რომლებსაც არაბელმა ქვეყნებმა ნავთობის მიწოდება შეუწყვიტეს პროისრაელური პოზიციის გამო.

ᲯᲐᲙᲐᲠᲢᲐ. აქ გამოაცხადეს, რომ იანვრის დამდეგიდან ჰოლანდიაში ბ

მწყობრში ჩადგა ახალი სატელევიზიო კოშკი

საქართველოს ტელემაყურებლებს სასიამოვნო სიურპრიზი მოუმზადეს. ეთერში გაისმა ახალი სატელევიზიო კოშკის სიგნალები. კოშკის სიმაღლე ანტენიოურთ 277,5 მეტრია, რაც თითქმის 90 მეტრით აღემატება წინანდელი კოშკის სიმაღლეს.

— კოშკის ძირითადი დანიშნულებაა გაუმჯობესოს გამოსახულების ხარისხი, — განაცხადა რესპუბლიკური სატელევიზიო ცენტრის უფროსმა ვ. სალიბეგაშვილმა. — ამას ძირითადად ვაღწევთ ანტენების მაღალი განლაგებით. მაგალითად, ახალ კოშკზე თბილისის სტუდიის მეორე პროგრამის, ანუ მეექვსე არხის ანტენა 230 მეტრ სიმაღლეზეა ე. ი. „გაიზარდა“ 190 მეტრით.

კოშკის პროექტი შექმნა კიევის „ფოლადკონსტრუქციების“ საპროექტო ინსტიტუტმა. იგი დაამონტაჟეს „სამხრეთფოლადკონსტრუქციის“ ტრესტის რუსთავის სამმართველოს სპეციალისტებმა, — აღნიშნა ტელეცენტრის მთავარმა ინჟინერმა ა. კაკაბაძემ. აქ დადგმული მთელი აპარატურა საბჭოურია. ერთ-ერთ სართულზე, წრიულ კორპუსში, დამონტაჟებულია რთული სისტემა „ალტაი“, რომელიც უზრუნველყოფს უშუალო რადიოსატელეფონო კავშირს მოძრავ ობიექტებთან. ამიერიდან თბილისის სტუდიის მეორე პროგრამას ნახავენ არა მარტო თბილისში, არამედ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში.

ძველი კოშკი? გაისად მას დაშლიან და გორში გადაიტანენ. 1975 წლის დამლევისათვის ქართლისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლები დაიჭერენ ორ სატელევიზიო პროგრამას — თბილისისა და მოსკოვის პირველ პროგრამას.

(საქინფორმი).

სურათზე: ახალი სატელევიზიო კოშკი მთაწმინდაზე.

საქართველოს ქვეყანა-ჯარში

ქართველ მეცნიერთა დამსახურების აღიარება

ფილოსოფიის განვითარებაში ქართველ მეცნიერთა წვლილის აღიარებაა ის, რომ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი ა. ბეგიაშვილი და თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლოგიკის კათედრის დოცენტი ლ. მჭედლიშვილი აირჩიეს ბოლონიის (იტალია) ლოგიკისა და მეცნიერების ფილოსოფიის უმაღლესი ცენტრის წევრ-კორესპონდენტებად. (საქინფორმი).

მ. მერაბიშვილი — სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის დოცენტი, მოქანდაკე მერაბ მერაბიშვილი აირჩიეს სსრ კავშირის სამხატვრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ეს საბჭოთა სახვითი ხელოვნების, კერძოდ, ქართული ქანდაკების განვითარებაში მოქანდაკის დიდი წვლილის აღიარებაა.

ბათუმის კატარღები

ბათუმი, (საქინფორმის კორ.). ბათუმის გემთაშენებელმა ქარხანამ სრულიად საკავშირო გაერთიანება „სუდოიმპორტს“ გაუგზავნა „ვოლგა-70“ ტიპის წყალქვეშაფრთიანი ექვსადგილიანი სახეირნო კატარღების მორიგი პარტია.

წყალქვეშაფრთიან კატარღებზე დიდი მოთხოვნაა არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიო ბაზარზეც. „ვოლგა-70“ დაცურავს მსოფლიოს 44 ქვეყნის წყლებში. ამ ქვეყნებს შორისაა ბრაზილია, კუბა, ამერიკის შეერთებული შტატები, ბანგლადეში, ერაყი, თურქეთი, ეგვიპტე, იტალია, ინგლისი, საფრანგეთი და სხვები. განსაკუთრებით პოპულარული გახდა „ვოლგა“ მოდერნიზაციის შემდეგ, კატარღაზე ბენზინის ძრავის ნაცვლად დაიდგა დიზელის ძრავა, რამაც შეამსუბუქა მართვა და გაზარდა გემის მანევრულობა,

თ. გეგელია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი რესპუბლიკის სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ მძიმე დანაკლისი განიცადა, 68 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სამეცნიერო - საკავშირო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში, სსკპ წევრი 1939 წლიდან, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი და დამსახურებული გამომგონებელი, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თადეოზ გიორგის-ძე გეგელია.

თ. გეგელია დაიბადა გეგეჭორის რაიონის სოფელ სალხინოში. ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1920 წელს სწავლა განაგრძო ქუთაისის ჰუმანიტარულ ტექნიკუმში. 1929 წელს შედის ამიერკავკასიის ინდუსტრიულ ინსტიტუტში, რომელსაც ამთავრებს 1934 წელს. ჯერ კიდევ სტუდენტი, 1933 წელს იგი იწყებს მუშაობას ამიერკავკასიის ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტში უმცროს მეცნიერ მუშაკად, უფროს მეცნიერ თანამშრომლად, ჰიდროტექნიკური ლაბორატორიის გამგედ.

1943 წელს თ. გეგელია იცავს დისერტაციას ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. ამავე წელს თ. გეგელია გადაყვანილ იქნა საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტში საწვავ-ენერგეტიკული მრეწველობის განყოფილების გამგის მოადგილედ.

1945 წელს იგი დაინიშნა ინსტიტუტ „ჰიდროენერგოპროექტის“ (ახლა „ჰიდროპროექტი“) თბილისის ფილიალის დირექტორად, სადაც მუშაობდა 1966 წლამდე.

თ. გეგელია იყო საქართველოში მსხვილი ჰიდროელექტროსადგურებისა და მაღალი კაშხლების მშენებლობის ერთ-ერთი ინიციატორი.

1966 წელს თ. გეგელია დაინიშნა თბილისის საგამობათა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორად. 1968 წელს იგი იცავს დისერტაციას ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხს — მოსაპოვებლად. 1971 წელს მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

თბილისის ნაგებობათა და ჰიდროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის გაერთიანების შემდეგ თ. გეგელია 1971 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო ნაწილში.

თ. გეგელია ეწეოდა დიდ საზოგადოებრივ და სამეცნიერო ორგანიზაციულ მუშაობას. იგი არაერთხელ იყო არჩეული თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატად, პარტიის თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონის კომიტეტის წევრად;

თ. გეგელია 1955 წელს ხელმძღვანელობდა ბულგარეთში მიწილნეულ ჰიდროშენებლობაში ტექნიკური დახმარების გასაწევად საბჭოთა სპეციალისტების ჯგუფს; 1961 წელს მონაწილეობას იღებდა იტალიაში მდელვარი კაშხლების მშენებლობის საკითხებზე გამართულ მეშვიდე მსოფლიო კონგრესის მუშაობაში. იგი არის 50-მდე სამეცნიერო სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი. იგი დაჯილდოვებული იყო ორდენებით, მედლებით და საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სპატიალ სიგელებით.

გამოჩენილი ქართველი ინჟინრის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, თავმდაბალი და გულისხმიერი ადამიანის, პროფესორ თ. გეგელიას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების გულში.

საქართველოს სსრ უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების საბჭოს სსრ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყველის რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი; ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი, საქმთავარენერგო; ენერგეტიკისა და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების რესპუბლიკური გაგეგობა; საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი; ლენინის ორდენოსანი ტრესტი „საქიდროენერგოშენი“; „თბილიდროპროექტი“; საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი.

ორი საინტერესო ციური მოვლენა

მომდინარე წლის 10 და 11 დეკემბერს შეიძლება დავაკვირდეთ ორ საინტერესო ციურ მოვლენას.

10 დეკემბერს, გამთენიისას, მოხდება მთვარის ნაწილობრივი დაბნელება. დაბნელება დაიწყება 5 საათსა და 10 წუთზე თბილისის დროით. ამ მომენტში ბაღრი მთვარე მარცხენა კიდით დაიწყებს შესვლას დედამიწის ჩრდილში, ხოლო 5 საათსა და 45 წუთზე დადგება დაბნელების უმეტესი ფაზა. დედამიწის ჩრდილით დაიფარება მთვარის ზედაპირის დაახლოებით ერთი მეათედი ნაწილი. შემდეგ მთვარე დაიწყებს ჩრდილიდან გამოსვლას და 6 საათსა და 20 წუთზე დაბნელება დამთავრდება.

11 დეკემბერს, აგრეთვე გამთენიისას, მოხდება მეორე საინტერესო მოვლენა: მთვარე დაფარავს პლანეტა საატურნს. 5 საათსა და 08 წუთზე თბილისის დროით ციის დასავლეთ მხარეზე მდებარე ოდნავ შემცირალი მთვარე მარცხენა ზედა კიდით მიუახლოვდება პლანეტა საატურნს და ნახევარი წუთის განმავლობაში ნელ-ნელა დაფარავს, თითქოს „ჩაყლაპავს“ მას. 5 საათსა და 49 წუთზე საატურნი კვლავ თანდათანობით გამოჩნდება მთვარის მარჯვენა ქვედა კიდესთან.

მთვარის დაბნელების მომენტები ერთნაირია ჩვენი რესპუბლიკის მთელი ტერიტორიისათვის, პლანეტა საატურნის დაფარვის მომენტები კი აქ მოყვანილი, თბილისის შესაბამისი, მომენტებისაგან განსხვავებული იქნება მხოლოდ რამდენიმე წუთით სხვადასხვა პუნქტებისათვის.

ციური მოვლენა მოწმენდილი ამინდის შემთხვევაში შეიძლება კარგად დავინახოთ შეუიარაღებელი თვალით, მაგრამ უმჯობესი იქნება, თუ დაკვირვებისათვის გამოვიყენებთ ბინოკლს ან სასკოპო ტელესკოპს.

აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში დაკვირვებულია ამ საინტერესო მოვლენათა სპეციალური სამეცნიერო დაკვირვება.

ვ. ჯაფიაშვილი,
აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, დოცენტი.

29.200 ოჯახს გაუდიდდათ ბენსიები

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში გაიმართა რესპუბლიკური თათბირი, რომელზეც განიხილეს შრომისა და ომის ინვალიდებისათვის, აგრეთვე მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის მინიმალური და მაქსიმალური ოდენობის პენსიათა მომატების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებულ იმ ღონისძიებათა განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც დატკიცებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით.

ამ საკითხზე მოხსენება გააკეთა სამინისტროს პენსიებისა და დახმარების განყოფილების გამგემ ვ. კორკოტაშვილმა.

— შუშა, მოსამსახურე და სამხედრო მოსამსახურე ინვალიდების, აგრეთვე მარჩენალდაკარგული ოჯახების წევრების საპენსიო უზრუნველყოფის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, — თქვა მან, — ხორციელდება სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების და „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წლების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის შესაბამისად. ისინი კიდევ ერთხელ მკაფიოდ მოწმობენ პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ხალხის კეთილდღეობისათვის.

ჩვენს რესპუბლიკაში, თქვა მომხსენებელმა, მიმდინარე წლის პირველი დეკემბრიდან ახალი გაზრდილი ოდენობით პენსიები მიეცემა 29.200 ოჯახს, რომლებმაც დაკარგეს მარჩენალი.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტრომ გაწია დიდი მოსამზადებელი მუშაობა ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების განსახორციელებლად. დროულად განიხილეს საპენსიო საქმეები, რომლთა მიხედვით უნდა მოემატებინათ პენსიათა ოდენობა. ამას სოციალური უზრუნველყოფის რაიონულ და საქალაქო განყოფილებებს საშუალება მისცა მოკლე ვადაში და ხარისხოვნად ეწარმოებინათ პენსიათა გადანგარიშება.

ინფორმაცია პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებების განხორციელებასთან დაკავშირებული მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ თათბირზე გააკეთეს პენსიებისა და დახმარების დარიცხვის და გაცემის რესპუბლიკური ცენტრის უფროსმა ა. ზირაქაშვილმა, აფხაზეთის სსრ და აჭარის სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრებმა ა. ძაძუამ და გ. მესხიძემ, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ გ. ჯოიევმა, ქალაქ თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგემ ა. ვართანავამ, სოციალური უზრუნველყოფის ტყიბულის და ჭიათურის განყოფილებათა გამგეებმა გ. რიონაშვილმა და ზ. ვაშაძემ.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მ. ჩიხლადეძ.

თათბირის მონაწილეთათვის სამინისტროს ხელმძღვანელმა მუშაკებმა მოაწყეს ინსტრუქტაჟი.

(საქინფორმი).

სასიამოვნო გამონაკლისი

ჭადრაკი

მაჩხი მწვრთნელის თვალით

სპორტი

მეოთხეული, საერთოდ გაცილებით უფრო ადვილია თამაში, ვიდრე გუნდის მწვრთნელობა. ამდენ დაფას ერთდროულად რომ ყურეკ, თვალი გიბრეცდება. ახლა, ზოგი თანამეგზავრელი ოუციალურად ეარეს პოზიციას რომ მიიღებს?!..

საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის ნაკრებთა მეთექვსმეტე მატჩი ამ მხრივ ეშვიათი გამონაკლისი იყო — მწვრთნელს დიდი სამუშაო არ ჰქონია, არც ზედმეტი ღელვა, არც უძილო ღამეები. პირველმა ტურმაც კი, რომელიც იუგოსლავიელებმა შედარებით წარმატებით წარმართეს, არ შეარყია საბჭოთა მოჭადრაკეების საბოლოო გამარჯვების რწმენა. ცხადი გახდა, რომ ამ ოპერაციისობას განაპირობებდა ის დიდი განსხვავება, რომელიც ჭაბუკთა და ქალთა დაფებზე იკრძნობოდა.

ნონა გაფრინდაშვილს სულ ორი პარტიის თამაში მოუხდა. რა თქმა უნდა, უფრო საინტერესო იქნებოდა მისი შეხვედრა ლუზარეიჩთან, რომელიც თბილისში არ ჩამოსულა, თუმცა იუგოსლავიის უძლიერეს მოჭადრაკესაც, ცხადია, ძალიან უჭირს თამაში მსოფლიოს ჩემპიონთან. ამჯერად ჟიგოვიჩმაც ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ნონა, უთუოდ, კარგად არის მომზადებული საკავშირო ჩემპიონატისათვის, რომელიც ამ დღეებში თბილისში იწყება.

მაია ჩიბურდანიძე, თქმა არ უნდა. „სასტიკად მოექცა“ კალხბრენერს. გოგონა ყველა პარტიაში მოგებისაკენ მიისწრაფოდა, ამას მაშინაც კი ახერხებდა, როდესაც მეტოქეს თითქოს ძალიან მტკიცე პოზიცია ჰქონდა. თბილისში მყოფმა ყველა სპეციალისტმა ერთხმად აღნიშნა, რომ ჩიბურდანიძე ძალიან სწრაფად იზრდება. იგი ხომ საკავშირო თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა, ახლა კი იუგოსლავიის ჩემპიონს ჭასაჭანი არ მისცა. ამ დიდად ნიჭიერი გოგონასაგან მე ახალ-ახალ წარმატებებს მოველი.

რომან ჯინჯიხაშვილს პირველ ტურებში თამაში არ მოუხდა და მაყურებელთა რიგებში აგდილ ვერ ნახულობდა. მართლაც-და, რამდენად უკეთესია, როდესაც იგი საჭადრაკო დაფას მიუჯდება ხოლმე. რომანს რაოდაც თავისებური, ორიგინალური სტილი და დიდი საბრძოლო ენერგია აქვს. ცხოვრებაში იგი „ულალითობა“ „ავდება“. თუმცა ამ „სიავის“ გარეშე წარმოუდგენელია ჭადრაკში რაიმე წარმატების მიღწევა. ჯინჯიხაშვილმა ორიგინალური პარტია კარგად წარმართა — ივნინიჩთან შესანიშნავად ჩაატარა ეერში (ეს პარტია ძალიან მოეწონა გლიგორიჩს), ხოლო ორდესაც ივანოვთან ზუსტი დაცვა იყო საჭირო, აქაც გამოიჩინა თავი.

პირველ დაფაზე შესანიშნავი მატჩის მოწმენი ვიყავით. ჯერ იყო და **გლიგორიჩმა** ისე ითამაშა, როგორც თავის ახალგაზრდობის წლებში. აქ ყველაფერი იყო: შეზარვაც, შეტევაც, დაცვაც, ტაქტიკაც. მეორე პარტიაში **პეტროსიანმა** უდავოდ ღირსეული რეკვანში აიღო. საინტერესო შეხვედრა იყო მესამეც, მაგრამ აი მეოთხეში კი მეტოქეებმა დასვენება არჩიეს. პეტროსიანი ჯათამაშდა ისეთი სპასულისმაგვარო ორთაბრძოლის წინ, როგორიც პორტაშთან მატჩია, გლიგორიჩი კი, ცხადია, თავის მხრივ ახალ-ახალი ტურნირებისათვის ემზადება.

ჩვენს გუნდში კარგად ითამაშა **გელერმა**. როგორც ყოველთვის, ეს ბიჭი ცენტრალური მატჩი იყო სსრ კავშირისა და ფფრ-ის ნაკრებთა შეხვედრა. თამაში საბჭოთა გუნდის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით ანგარიშით 19:15 (11:7). მეუხეადავად დარჩენილი შეხვედრის შედეგისა რუმინეთის ნაკრებთან, საბჭოთა ხელოვნელებმა უკვე მოიპოვეს საპატიო პრიზი.

ბუნების დასაცავად

ჩვენი ინტერვიუ

თბილისში ოთხ დღეს მიმდინარეობდა ამიერკავკასიის მეცნიერეთა დაცვის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის საბჭოს სესია, რომელიც მოაწყეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის ამიერკავკასიის განყოფილებამ და საქართველოს მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა. სესიაზე შუამავდა სამი სექცია: ენტომოლოგიური და ბიომეთოდის, ფიტოპათოლოგიურ კვლევათა და ქიმიკოფესიკოლოგიური, სადაც მოსმენილ იქნა 60-ზე მეტი მოხსენება.

სესიის პლენარულ სხდომებზე მოხსენებებით გამოვიდნენ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების დირექტორები, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი ს. მამედოვი, გ. აზარიანი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ლ. ყანჩაველი, რომლებმაც ილაპარაკეს ფესაბამის ინსტიტუტებში 1972-1973 წლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის მუშაობის შედეგებსა და მომავალ გეგმებზე. მოხსენებათა თემატიკა ემყარებოდა სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებას სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის შესახებ.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტი ეწვია მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **ლევან ყანჩაველს** და სთხოვა სესიის მიზნებსა და შედეგებზე, აგრეთვე ინსტიტუტის მეცხიერთა მიერ სესიაზე წაკითხული მასალების შესახებ რამდენიმე სტატიით მოეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის.

გთავაზობთ მის საუბარს:

— უკანასკნელ წლებში ამიერკავკასიის რესპუბლიკათა სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გასწიეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და ტყის ჯიშების მავნებელ-ავადმყოფობათა შესწავლისა და მათ წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. შემუშავებულია და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს გადაეცათ მავნებელთა, სოფლის მეურნეობის კულტურების, ტყეების დაავადებების გამომწვევთა წინააღმდეგ, სარეველების მოსასპობად ბრძოლის ღონისძიებანი. შემუშავდა ახალი პრეპარატები, რომლებსაც წარმატებით იყენებენ.

წინასწარი მზადების პერიოდში წიგნის სახით მოვამზადეთ და გამოვეცით სესიის მასალები, რომელშიც შევიტანეთ განსახილველი თემებისა და მოხსენებების ანოტაციები, სულ 160-მდე შრომა მეცნარეთა დაცვის სხვადასხვა აქტუალურ საკითხზე.

საქართველოს მეცნარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა საანგარიშო წელს მთლიანად შეასრულა თემატური გეგმით გათვალისწინებული საძეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და ცხრაშენელოვანი მუშაობა გასწია მთელი რიგი პროგრესული ღონისძიებების, პირველ რიგში წინა წლებში ჩატარებული კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების წარმოებაში დასანერგავად.

სესიაზე ინსტიტუტის მეცნიერთა მიერ წარდგენილ იქნა ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებელ-ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა სრულყოფის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები. მაგალითად, ვაზის დაავადებათა (სოკოვანი და ტკიპები) წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სქემა, რომლის მიხედვითაც ბორდოული სითხით სამი შეწამვლა შეცვლილია უფრო ეფექტური და ადვილი ფუნგიციდებით, როგორიც არის ქიმიური ნივთიერებანი — ცინები და კუპროზანი, აგრეთვე ციტრუსების მავნე დაავადებათა მოსპობის ახალი სისტემა, რაც ოთვალისწინებს შეწამვლის ჯერადობის დაყვანას 8-დან 5-მდე, და ბოსტნეულისა და ბაღჩეულის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ანტიბიოტიკების გამოყენება.

სესიის მონაწილეთ გავაცანით მეხილეობის მავნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი სისტემა, სადაც ძირითადად მსედველობაში მიღებულია ნაყოფჭამიების განადგურება, აგრეთვე ლაფნიჭამიის წინააღმდეგ პესტიციდ პლკ-ს გამოყენება და სხვ. ყველა ზემოთჩამოთვლილმა ღონისძიებამ წინასწარი კვლევის ყველა ეტაპი გაიარა, იყო ეს ლაბორატორიული თუ ნახვერად საველე, და შემოწმებულ იქნა საწარმოო ცდებით.

დღეს მეცნიერთა მთავარი ამოცანაა შევიმუშაოთ მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი მეთოდები, შევქმნათ უფრო ეფექტიანი და უვნებელი პრეპარატები და რაც შეიძლება მალე დავნერგოთ ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

ჩვენი ინტერვიუ

ბუნების დასაცავად

ცნობილი გახდა „სპორტლოტოს“ 33-ე ტირაჟისა და „სპორტლოტო-2“-ის ბოლო გათამაშების შედეგები.

„სპორტლოტოს“ ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო. ჩვენი რესპუბლიკის სამმა მცხოვრებმა გამოიცნო 5 ნომერი და თვითეული მიიღებს 4.447 მანეთს. ოთხი ნომრის გამცნობისათვის გაიცემა 76 მანეთი, „სპორტლოტოს“ სამი ნომრის თვითეული გამომცნობი მიიღებს 4 მანეთს.

„სპორტლოტო-2“-ის ექვსი ნომერი აქაც „ხელუხლებელი“ დარჩა. ხუთი გამოცნობილი ნომრისათვის გამოყოფილია 2.229 მანეთი, ოთხისათვის — 42 მანეთი, სამისათვის — 3 მანეთი.

33-ე ტირაჟში მოგებული თანხები გაიცემა 1973 წლის 11 დეკემბრიდან 1974 წლის 10 იანვრამდე.

მხოლოდ ხუთიანები

„სპორტლოტოს“ ფიდეგები

ახლა კი „სპორტლოტოს“ 31-ე ტირაჟში გამარჯვებულთა შესახებ: ქალაქ მახარაძის მცხოვრებმა, მაცივრების დანადგართა სარემონტო სამმართველოს აღმრიცხველმა ნინო სურგულაძემ შეიძინა ექვსი ბილეთი, რომელთაგან ერთს ხუთციფრიანი მოგება ხვდა — 2.844 მანეთი. ამავე ტირაჟში ასეთივე თანხა მოიგო ბათუმის ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა არტურ მელიქიანმა.

ნ. ლონდაძე.

სპორტი

ტელევიზია

7 დეკემბერი

პირველი პროგრამით

13.30 — „საბჭოური ხასიათი“ (გადაცემა თბილისიდან ცენტრალური ტელევიზიისათვის), 14.00 — მხატვრული ფილმი „შეყვარებულნი“, 16.00 — სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია ზოგად ფიზიკაში, 17.00 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად: ლექცია ფიზიკაში, 18.00 — „გაბედული ფოტომონადირე“, 18.15 — განცხადებები, 18.20 — „მართვის აქტუალური პრობლემები“, 18.40 — „ბარ მთითა ხარ ძლიერი“, 19.10 — თვითმოქმედ ანსამბლ „არირას“ კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.40 — „სოციალიზმის საბაარო“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „მოამბე“ საინფორმაციო პროგრამა, 20.45 — სატელევიზიო მრავალსერიანი მხატვრული ფილმი „გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება“ (VII სერია), 22.00 — „ვრემია“ საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — საქართველოს ფირადი ტელევიზია. მუსიკალური პროგრამა, 23.00 — ახალი ამბები, 23.10 — საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში. „დინამო“ (თბილისი)—„დინამო“ (მოსკოვი) ვიდეოჩანაწერი (II ტაიმი).

მეორე პროგრამით

18.05 — სკოლების დასახმარებლად — გაკვეთილები: ბიოლოგია (IX კლასელთათვის. ავტოტროფული და ჰეტეროტროფული უჯრედები), 18.50 — ქიმია (VII-IX კლასელთათვის. ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნა), 19.35 — სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია სკკპ ისტორიაში, 20.20 — განცხადებები, 20.25 — მხატვრული ფილმი „ბრალი ედებათ მკვლელობაში“.

რადიო

8 დეკემბერი

პირველი პროგრამით

09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — დ. ჩხეიძე. მესამე საფორტეპიანო კონცერტი (IX კლასელთათვის. ავტოტროფული და ჰეტეროტროფული უჯრედები), 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — მსუბუქი მუსიკა, 11.20 — „სპორტი — ჩვენი მეგობარი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — უკრავს კამერული ორკესტრი ლ. მარკიზის დირიჟორობით, 12.45 — რადიონარკვევი „ინტერნაციონალური ბრიგადა“, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მიწინავე სტატია, 13.40 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.45 — სიმღერები ე. ჰილის შესრულებით, 13.55 — ვ. სარგეევი. „შვებულების ბოლო დღე“. რადიოდადგმა, 16.15 — ანსამბლ „პესნიარის“ კონცერტი, 16.30 — „მხიარულ ტალღაზე“, 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის. კონცერტი-საუბარი „ვრიგის სიმღერები“, 18.00 — უკანასკნელი ცნობები, 18.10 — ქართული ხალხური სიმღერები, 18.45 — საოპერო მუსიკის კონცერტი, 19.00 — რადიოჟურნალი „ჩვენი სოფელი“, 19.30 — „ჩვენი იშვიათი ჩანაწერები“ — უკრავს ი. პადერევსკი, 20.20 — ქართული კამერული მუსიკის კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ლ. დელიბი. საბალეტო მუსიკა, 21.30 — ახალგაზრდობისათვის. რეპორტაჟი „ახალგაზრდა პოეტთა ფესტივალი“, 22.00 — „საღამო მშვიდობისა!“, 22.30 — უკანასკნელი ცნობები, 23.00 — უკანასკნელი ცნობები, 23.30 — საესტრადო კონცერტი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

თეატრები

7 დეკემბერი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ხანუმა; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ძორწინება; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — სიმღერა ტყეში.

ეს ვნახოთ, ეს ჯოვლიჭინოთ

პრიზი — საბჭოთა ნაკრებს

ბუენოს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პრიზის — ხელოვნოთელთა საერთაშორისო ტურნირის ბოლოსწინა ტური.

ამ დღის ცენტრალური მატჩი იყო სსრ კავშირისა და ფფრ-ის ნაკრებთა შეხვედრა. თამაში საბჭოთა გუნდის უპირატესობით წარიმართა და დამთავრდა მისივე გამარჯვებით ანგარიშით 19:15 (11:7). მეუხეადავად დარჩენილი შეხვედრის შედეგისა რუმინეთის ნაკრებთან, საბჭოთა ხელოვნელებმა უკვე მოიპოვეს საპატიო პრიზი.

საინტერესო იყო აგრეთვე საქალაქთაშორისო და სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების შეხვედრა, რომელიც დამთავრდა ფრედ — 17:17 (11:9). უუგოსლავიის გუნდმა დაამარცხა რუმინეთის ნაკრები ანგარიშით 31:25 (16:11).

დღეს გაიმართება ტურნირის უკანასკნელი მატჩები.

გ. ერაძე.

სურათზე: საქართველოსა და რუმინეთის გუნდების შეხვედრის მომენტი.

ვ. გენგიშერის ფოტო.



რამდენიმე სტრიქონით

● **ფეხბურთი.** 12 დეკემბერს თბილისისა და კიევის დინამოელებს საპასუხისმგებლო გასვლითი მატჩები ელით უეფა-ს თასზე „ტტეტნერთან“ და „შტუტჰარტთან“. ამიტომ იყო, რომ თბილისელებმა და კიეველებმა გასულ ოთხშაბათს „ლოკომოტივის“ სტადიონზე ერთმანეთთან გამართეს ამხანაგური მოსამზადებელი შეხვედრა. თამაშის პირველ ნახევარში უკრაინელმა ფეხბურთელებმა (ტრომკინი, მე-18 წუთი) გახსნეს ანგარიში, რასაც მასპინძლებმა შესვენების შემდეგ უპასუხეს ორი ბურთით (ნოდია, 72-ე წუთი და გუცაევი, 87-ე წუთი). ანგარიშით 2:1 გაიმარჯვა თბილისის „დინამომ“. გუნდების შემადგენლობა: თბილისი — გოგია, ძოძუაშვილი, კანთარაძე (ხინჩაგაშვილი), ხუციცავა, ჭელიძე, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, ყიფიანი, გ. ნოდია, ლ. ნოდია (გუცაევი); კიევი — რუდაკოვი, ფამინი, დოცენკო, ფომენკო, [illegible] ტრომკინი, მუნტანინი, ზუევი, [illegible]ლოტოვი, ვერემეევი (სემიონოვი), ბლოხინი.

**სსრ